

შპს „მაღოჰავაგი“-ს
ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შპს "მადოჰავაგი"				
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება				
ერთეული: 1 GEL				
	საანგარიშგებო თარიღი			შენიშვნა
	12/31/2021	12/31/2020	12/31/2019	
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	4663777	3873839	2842533	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	214983	226304	265886	3.2
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	5621	5951	4787	3.3
მარაგები	11182	6973	11440	
მ.შ. - მზა პროდუქცია				
- სხვა მარაგი	11182	6973	11440	3.4
საინვესტიციო ქონება				
სხვა მიმდინარე აქტივები	48329	82591	78852	3.5
ძირითადი საშუალებები	284463	233461	308020	3.6
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	5228355	4429119	3511518	
ვალდებულებები				
ფინანსური იჯარის (ლიზინგის) ვალდებულება				
სავაჭრო ვალდებულებები	3563	1574	1512	3.7
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	3735	2159	2450	3.8
საგადასახადო ვალდებულებები	15465	20175	25469	3.9
გამოუმუშავებელი შემოსავალი და მიღებული ავანსები				
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები				
მიღებული გრანტებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები				
სულ ვალდებულებები	22763	23908	29431	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)	2000	2000	2000	
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	5203592	4403211	3480087	
გადაფასების რეზერვი				
სხვა რეზერვები				
მ.შ. - არამაკონტროლებელი წილი				
სულ საკუთარი კაპიტალი	5205592	4405211	3482087	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	5228355	4429119	3511518	
სულ მოკლევადიანი აქტივები:	4943892	4195658	3203498	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები:	22763	23908	29431	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად:	26.09.2022 წ.			
დირექტორი _____	ვაჟა სიხარულიძე			
თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.				

შპს "მადოჰავაგი"			
საქმიანობის შედეგები			
		ერთეული: 1 GEL	
	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2021	2020	
ნეტო ამონაგები	1273378	1313704	3.10
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან			
- მომსახურების გაწევიდან	1273378	1313704	
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები			
გაყიდვების თვითღირებულება			
საერთო მოგება	1273378	1313704	
სხვა საოპერაციო შემოსავალი	2	20	
დასაქმებულთა ანაზღაურება	-469640	-421070	
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	-77053	-74559	
საპროცენტო შემოსავალი	251996	156422	
საპროცენტო ხარჯი			
იჯარის ხარჯი			
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-63264	-73734	3.11
სულ საოპერაციო ხარჯები	-357959	-412921	
საოპერაციო მოგება	915419	900783	
გაუფასურების ხარჯი/ადდენა			
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოს./დანაკ. უცხ. ვალუტით ვაჭრ. და სავალ. სახ. გადაფ.	-54860	117746	3.12
მიღებული დივიდენდები			
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	4972	10603	3.12
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	865531	1029132	
მოგების გადასახადის ხარჯი	-1992	-3486	
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	863539	1025646	
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი			
ძირითადი საშუალებების (მ.შ. ბიოლ. აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა (მ.შ. წილი ერთ. და მეკავ. საწ. უძრ. ქონების გადაფ. რეზ.)			
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	863539	1025646	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	4405211	3490091	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-63158	-110526	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	5205592	4405211	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად:		26.09.2022 წ.	
დირექტორი _____		ვაჟა სიხარულიძე	
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.			

შპს "მადოჰავაგი"			
ფულადი ნაკადების ანგარიშგება			
		ერთეული: 1 GEL	
	საანგარიშგებო პერიოდი		
	2021	2020	
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	780811	861953	
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	123941	156422	
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-60000	-105000	
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა წლის განმავლობაში	844752	913375	
სავალუტო კურსის ეფექტი	-54814	117931	
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	3873839	2842533	
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	4663777	3873839	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად:	26.09.2022 წ.		
დირექტორი _____	ვაჟა სიხარულიძე		
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.			

2021 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „მადოჰავაგი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2004 წლის 14 ივლისს მცხეთის რაიონის სასამართლოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერია 46/5/ზ-194. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 236082680, იურიდიული მისამართი - საქართველო, მცხეთის რაიონი, სოფ. წილკანი. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად 2004 წლის 11 ოქტომბერს.

1.2. კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია თორნიკე სიხარულიძე (პ/ნ 01024059593).

1.3. კომპანიის დირექტორია ვაჟა სიხარულიძე (პ/ნ 01024001622).

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა ავტომობილებისა და მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალებების იჯარა და ლიზინგი.

1.5. კომპანია საანგარიშგებო პერიოდში ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებდა ლოკაციის 1 ადგილიდან (თბილისში).

1.6. კომპანიას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი ან მეკავშირე საწარმოები.

1.7. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და

აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები ყოველწლიურად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე ჩათვლით).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის რეალური ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი

განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება 3 წელზე უფრო ნაკლებ ვადაში.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირითადი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება სამუშაო ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება რეალური ღირებულებით, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში რეალური ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდი ფასი შემცირებული იმ მოსალოდნელი დანახარჯებით, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული საბანკო ანგარიშებზე (ვინაიდან ნაღდი ანგარიშსწორება არ წარმოებს).

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

კომპიუტერული ტექნიკა - 5 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 10 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2 წელი.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10-15%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2021 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.0976ლარი; 1 EUR=3.5040 ლარი.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.2766 ლარი; 1 EUR=4.0233 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2021 წელს: 1 USD=3.2170 ლარი; 1 EUR=3.8152 ლარი.

2020 წელს: 1 USD=3.0937 ლარი; 1 EUR=3.5395 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 01.01.2020 მდგომარეობით
ნაღდი ფული საღაროში		0	0
ლარი საბანკო ანგარიშებზე	3806316	2977231	2067961
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე	791055	820361	713747
ევრო საბანკო ანგარიშებზე	66406	76247	60825
ინგლისური ფუნტი საბანკო ანგარიშებზე			0
სულ:	4663777	3873839	2842533

კომპანიას ანგარიში გახსნილი აქვს საქართველოს კომერციულ ბანკში სს „ვითიბი ბანკი საქართველო“ უკრაინის საომარი მოქმედების შემდეგ საბანკო ანგარიშები გადატანილია ლიბერტი ბანკში

3.2. სავაჭრო მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 01.01.2020 მდგომარეობით
სავაჭრო მოთხოვნები მომსახურების გაყიდვიდან	214983	226304	265886
სულ:	214983	226304	265886

2021 წლის ბოლოსათვის კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები შედგება გადაუხდელი იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ, სულ - 7 დებიტორი 31.12.2021 წ. მდგომარეობით. მათგან 5 აღიარებულია საექვო დავალიანებად, გაუფასურების ანარიცხი შეადგენს 18823.36 ლარს. სავაჭრო მოთხოვნები ასახულია გაუფასურების ანარიცხით შემცირებული თანხით.

3.3 გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავლი:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 01.01.2020 მდგომარეობით
რეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	5621	5951	2860
მომდევნო წლის ხარჯები, გაწეული საანგარიშო წელს	0	0	1927
სულ:	5621	5951	4787

3.4. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 01.01.2020 მდგომარეობით
საწვავ-საცხები მასალები	11183	6973	7186
სხვა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები			4254
სულ:	11183	6973	11440

2021 წლის დასასრულს კომპანიის სხვა სასაქონლო მატერიალური ფასეულობები შედგება ავტომობილებისთვის განკუთვნილი საწვავ-საცხები მასალათა ნაშთისაგან.

3.5. სხვა მიმდინარე აქტივები:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 01.01.2020 მდგომარეობით
წინსწრებით გადახდილი გადასახადი და სავალდებულო საპენსიო შენატანი	36929	71191	67452
სხვა მიმდინარე აქტივები	11400	11400	11400
სულ:	48329	82591	78852

სხვა მიმდინარე აქტივები მოიცავს წაყენებულ პრეტენზიას საქართველოს ერთ-ერთი კომპანიის მიმართ, რაც წარმოშობილია თანხის არასწორად გადარიცხვის გამო.

3.6. ძირითადი საშუალებები:

ძირითადი საშუალებების დასახელება	თავდაპირველი საბალანსო ღირებულება 31.12.2021 წ	დაგროვილი ცვეთა 31.12.2021წ	ნარჩენი საბალანსო ღირებულება 31.12.2021წ
სატრანსპორტო საშუალებები	1907147.05	1622684.42	284462.63
მცირეფასიანი ძირითადი საშუალებები (გარდა ავეჯისა)	8190.96	8190.96	0
სრულად	1915338	1630875	284463

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2021 წლის ბოლოს - 1630875 ლარი;
2020 წლის ბოლოს - 1553822 ლარი;

3.7. სავაჭრო ვალდებულებები

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 01.01.2020 მდგომარეობით
დავალიანება რეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	3563	1574	1511
სულ:	3563	1574	1511

2021 წლის დასასრულს კომპანიას სულ ჰქონდა მიმდინარე კრედიტორული დავალიანება საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე 7 რეზიდენტი პირის წინაშე. ვადაგადაცილებული კრედიტორული დავალიანება არ ჰქონია.

3.8. ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 01.01.2020 მდგომარეობით
გადასახდელი ხელფასები და საპენსიო შენატანები	3052	1896	495
ვალდებულებები ანგარიშვალდებული პირების მიმართ	683	263	1955
სულ:	3735	2159	2450

3.9. საგადასახადო ვალდებულებები

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 01.01.2020 მდგომარეობით
მიმდინარე საგადასახადო დავალიანება	15465	20175	25469
სულ:	15465	20175	25469

საგადასახადო ვალდებულებები წლის ბოლოს შედგება დეკემბრის თვეში გაანგარიშებული მიმდინარე გადასახადებისაგან (საშემოსავლო, მოგების, დღგ), რომელთა დეკლარირებაც და გადახდაც მოხდა 2022 წლის იანვარში.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადით დაბეგვრის რეფორმის შესახებ (დაბეგვრის ახალი წესი ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი ფაქტობრივად გაცემის თარიღამდე. 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ეს კანონი ძალაში შევიდა ყველა კომერციული იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, საკრედიტო კავშირები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, რეგისტრირებული სესხის გამცემი

სუბიექტები). ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, კომპანიის წლიური მოგება შემცირებულია მოგების გადასახადის მხოლოდ იმ ოდენობით, რაც წარმოიშვა საანგარიშო წლის განმავლობაში ფაქტობრივად გაცემული დივიდენდებიდან (მოგების განაწილებიდან).

3.10. ნეტო ამონაგები

	2021 წელი	2020 წელი
მომსახურების გაწევიდან	1273378	1313704
სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავლები		0
სულ:	1273378	1313704

2020-2021 წლებში, კომპანიის ნეტო-ამონაგები მთლიანად შედგებოდა ავტომატური მომსახურების მომსახურებიდან მიღებული შემოსავლებიდან.

3.11. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები:

	2021 წელი	2020 წელი
მიწოდების სხვა ხარჯები	-1770	-1408
სამედიცინო შემოწმების ხარჯი	-2320	
დაზღვევის ხარჯები		-1927
საწვავის ხარჯები	-31951	-33995
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	-6610	-5085
უიმედო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯები		-7814
საგადასახადო ხარჯები	-2590	-2707
საბანკო ხარჯები	-367	-307
ავტომატური რემონტის და საექსპლუატაციო ხარჯები	-11052	-14385
სხვა საერთო-ადმინ. ხარჯები	-6603	-6108
სულ:	-63264	-73734

3.12. წმინდა შემოსულობა/დანაკარგი სავალუტო ოპერაციიდან:

	2021 წელი	2020 წელი
დადებითი საკურსო სხვაობები		117931
უარყოფითი საკურსო სხვაობა	-54860	-185
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ ხარჯი	4972	10603
სულ:	-49888	128349

3.13. საანგარიშო პერიოდის მოგება-ზარალი:

კომპანიას 2020-2021 წლებში აქვს გაცემული დივიდენდი. შესაბამისად, წლის მოგება შემცირებულია მოგების გადასახადის ხარჯით, რომელიც დაბეგვრის „ექსტონური მოდელის“

მიხედვითა და 15% განაკვეთის გათვალისწინებით, დარიცხულია ფაქტობრივად განაწილებულ მოგებაზე.

3.14. სასამართლო დავები

კომპანიას 2021 წლის განმავლობაში სასამართლო დავები არ ჰქონია.

3.15. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

2021 წელს, კომპანიას არ ჰქონია დაკავშირებულ მხარეებთან ისეთი ოპერაციები, რომლებზეც გავლენა იქონია მხარეთა შორის არსებულმა ურთიერთობებმა.

3.16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2020-2022 წლებში ადგილი ჰქონდა შემდეგ მნიშვნელოვან მოვლენას: მსოფლიო მასშტაბით, გავრცელდა ახალი კორონავირუსი COVID-19, რაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ 2020 წლის 11 მარტს, გამოცხადებულ იქნა პანდემიად. ეს ვითარება გაგრძელდა 2021 წელს და 2022 წელსაც. 2021 წლის ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისათვის, პანდემიის მასშტაბები შემცირებულია, მაგრამ სრულად დამარცხებული არ არის.

შექმნილი სიტუაციის მიუხედავად, კომპანიას ფინანსური სირთულებები არ შექმნია და კომპანია უწყვეტ და ჩვეულებრივ რეჟიმში აგრძელებდა ფუნქციონირებას.

2022 წლის 1 იანვრიდან 26 სექტემბრამდე პერიოდში, კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში სხვა საყურადღებო მოვლენები, რომელიც გამოიწვევდა ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას, არ მომხდარა.

3.17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2022 წლის 26 სექტემბერს კომპანიის მენეჯმენტის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

შპს "მადოჰავაგი"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო თარიღი			შენიშვნა
	12/31/2021	12/31/2020	12/31/2019	
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	4663777	3873839	2842533	3.1
საეჭრო და სხვა მოთხოვნები	214983	226304	265886	3.2
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	5621	5951	4787	3.3
მარაგები	11182	6973	11440	
მ.შ. - მზა პროდუქცია				
- სხვა მარაგი	11182	6973	11440	3.4
საინვესტიციო ქონება				
სხვა მიმდინარე აქტივები	48329	82591	78852	3.5
ძირითადი საშუალებები	284463	233461	308020	3.6
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	5228355	4429119	3511518	
ვალდებულებები				
ფინანსური იჯარის (ლიზინგის) ვალდებულება				
საეჭრო ვალდებულებები	3563	1574	1512	3.7
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	3735	2159	2450	3.8
საგადასახადო ვალდებულებები	15465	20175	25469	3.9
გამოუმუშავებელი შემოსავალი და მიღებული ავანსები				
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები				
მიღებული გრანტებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები				
სულ ვალდებულებები	22763	23908	29431	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, სპაიო კაპიტალი)	2000	2000	2000	
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	5203592	4403211	3480087	
გადაფასების რეზერვი				
სხვა რეზერვები				
მ.შ. - არამაკონტროლებელი წილი				
სულ საკუთარი კაპიტალი	5205592	4405211	3482087	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	5228355	4429119	3511518	
სულ მოკლევადიანი აქტივები:	4943892	4195658	3203498	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები:	22763	23908	29431	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაცემუნებლად:

26.09.2022 წ.

დირექტორი

Handwritten signature

ვაჟა სიხარულიძე

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.



შპს "მაღოჰავაგი"

საქმიანობის შედეგები

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2021	2020	
ნეტო ამონაგები	1273378	1313704	3.10
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან			
- მომსახურების გაწევიდან	1273378	1313704	
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები			
გაყიდვების თვითღირებულება			
საერთო მოგება	1273378	1313704	
სხვა საოპერაციო შემოსავალი	2	20	
დასაქმებულთა ანაზღაურება	-469640	-421070	
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	-77053	-74559	
საპროცენტო შემოსავალი	251996	156422	
საპროცენტო ხარჯი			
იჯარის ხარჯი			
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-63264	-73734	3.11
სულ საოპერაციო ხარჯები	-357959	-412921	
საოპერაციო მოგება	915419	900783	
გაუფასურების ხარჯი/აღდგენა			
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოს./დანაკ. უცხ. ვალუტით ვაჭრ. და სავალ. სახ. გადავ.	-54860	117746	3.12
მიღებული დივიდენდები			
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	4972	10603	3.12
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	865531	1029132	
მოგების გადასახადის ხარჯი	-1992	-3486	
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	863539	1025646	
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი			
ძირითადი საშუალებების (მ.შ. ბიოლ. აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა (მ.შ. წილი ერთ. და მეკავ. საწ. უძრ. ქონების გადავ. რეზ.)			
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	863539	1025646	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	4405211	3490091	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-63158	-110526	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	5205592	4405211	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად:

26.09.2022 წ.

დირექტორი

სიბე

ვაჟა სიხარულიძე

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.



შპს "მადოპავაგი"

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2021	2020
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	780811	861953
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	123941	156422
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-60000	-105000
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა წლის განმავლობაში	844752	913375
სავალუტო კურსის ეფექტი	-54814	117931
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	3873839	2842533
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	4663777	3873839

only

